საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელი II

# კომუნისტი

შაბათი, 21 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 23 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

«... თუ მივიღებთ მხედველობაში პრაქტიკულ გამოცდილებათ, რომლებიც მოგვცა ჯერ ერთი, თებერვლის რევოლიუციამ და უფრო მეტათ კი პარიზის კომუნამ, უნდა ვთქვათ, რომ ეს პროგრამა (ე. ი. «კომუნისტური მანიფესტი») ალაგ-ალაგ დაძველებულია. მეტადრე კომუნამ დაამტკიცა, რომ «მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოთ აიღოს ხელთ მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანა და აამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნისათვის».

**კ. მარქსი და ფ. ენგელსი. წინასიტყვაობა „კომუნისტ. მანიფესტის“, 1872 წ.**

## მსოფლიოს ცენტრი.

როდესაც ამხ. ლენინი 1917 წ. რევოლიუციის დროს პირველად მოვიდა საზღვარგარეთიდან რუსეთში და ტეზისებში ჩამოყალიბებული თავისი სამოქმედო პროგრამა სოციალ-დემოკრატიულ ყრილობას წარუდგინა, კარლო ჩხეიძემ ამაყი გულზვიადობით წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი: მე იმედს გამოვსთქვამ, რომ ლენინი უარყოფს თავის ტეზისებს და მიემხრობა რევოლიუციას; თუ ლენინი მაინც დაშორდება რევოლიუციას, ამით რევოლიუცია არაფერს დაკარგავს.

მაშინ სხვა დრო იყო. ბალშევიკები უმნიშვნელო ჯგუფს წარმოადგენდენ და მათ ანგარიშსაც არ უწევდენ მაშინდელი ცხოვრების მესვეურნი ჩხეიძე, წერეთელი და ძმანი მათნი. სადღა არიან ახლა ეს ოდესღაც საქვეყნოთ ცნობილი პირები, რომელთა ვარსკვლავი ისე შუქმფრქვევათ ელვარებდა ერთ დროს? სად გაქრა მთელი მათი რიხი და გამაყრუებელი ხმაურობა?

ისინი ჩაბარდენ ისტორიას და ყოველი ახალი დღე დავიწყების ზეწარში ბურავს მათ სახელებს. მათ ადგილას სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა სწორეთ ლენინი და მისი პარტია, რომელიც ხანგრძლივი არსებობის შემდეგ დღითი დღე მატულობს ძალა-გავლენას და ყოველი ახალი დღე ზედმეტათ აცისკროვნებს მის სახელს და მოღვაწეობას.

რამდენათ იოლი და ადვილი იყო ჩხეიძე-წერეთლების თავბრუდამხვევი გავლენის მოპოება, იმდენათ მძიმე, ტანჯვით სავსე, აუარებელ მსხვერპლიანი იყო ის გზა, რომელიც ბალშევიზმს უნდა გაევლო თავისი მდგომარეობის განმტკიცებამდე.

ოდესღაც სუსტი კომუნიზმი, ჩხეიძეების ხელ წამოსაკრავი უმნიშვნელო რამ, ის ცხოვრების უძლიერეს ფაქტორათ იქცა და დაეუფლა მთელ ქვეყანას.

ის ახლა მთელი მსოფლიოს ცენტრში სდგას და მთელ ქვეყანას ორ დიდ ბანაკათ ყოფს. ერთ ბანაკს ის თავის გარშემო იკრებს, ხოლო მეორე ბანაკზე მას იერიშები მიაქვს. ეს იწვევს ძლიერ სიყვარულს და თანაგრძნობას ერთში და ძლიერ სიძულვილს და მტრობას მეორეში.

მისი გამარჯვება ბურჟუაზიის დამარცხებაა და ამას შეხარის მთელი ქვეყნის როლეტარიატი. მისი დამარცხება მშრომელ ხალხის განადგურებაა და ამას ეტრფის მთელი ქვეყნის ბურჟუაზია.

დიდი და პატარა, ბურჟუა და პროლეტარი, მოწინავე ქვეყანა და ჩამორჩენილი—ყველა დღეს კომუნიზმზე მსჯელობს და არკვევს მისდამი თავის პოზიციას. კომუნიზმი დღეს მსოფლიო მოვლენაა და ყოველი მისი მდგომარეობის მცირეოდენი რყევა, წინსვლა ან უკან დახევა იწვევს უდიდეს გრძნობათა ღელვას დედამიწის ყოველ კუნძულში, თვით მივარდნილ კუთხეებში, დღეს ის მსოფლიოს ცენტრში დგას და მისი დაძლევა ან გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს მასშტაბში.

პოლონეთის დამარცხება არის იმავე დროს რუმინიის, ფინლიანდიის და სხვა ანტიბოლშევიკურ ძალთა დამარცხება პოლონეთის ფრონტზე გამარჯვება არის იმავე დროს გამარჯვება საფრანგეთ-ინგლისის ფრონტზედაც.

შეუძლებელია კომუნიზმის დამარცხება მისი რუსეთის საზღვრებში ჩაკეტვით. მან დიდი ხანია იდეურათ გადალახა ეს საზღვრები და მთელ მსოფლიოს მოედო. მის ტკივილს და შეწუხებას გრძნობს ინგლისელებიდან დამონებული შორეული ინდოეთი; მას ეხმაურება და ძმურათ ხელს უწვდის ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი.

ის დღითი დღე ძლიერი და შეუპოვარი ხდება და მიისწრაფის, რომ გადიქცეს ერთათ ერთ მოვლენათ მთელ მსოფლიოში.

დღეს ის უკვე ძლიერია თუნდაც მარტო ერთი ფაქტით თავის არსებობისა, რადგან ამ ფაქტის წინააღმდეგ ამხედრებულია მთელი ქვეყნის ბნელი ძალები და არამც თუ ვერაფერი დაუკლიათ მისთვის, თვითვე დაუხევიათ უკან მასთან ბრძოლაში.

კომუნიზმი დღეს მსოფლიოს ცენტრში სდგას და ამ მხრით მას ვერ შეედრება ვერავითარი სხვა ძალა მთელ ქვეყანაზე გერმანია, ამერიკა, ინგლისი—ეს სხვადასხვა დროის ცენტრები, უკვე ჩამოქვეითდენ და საშინლათ შეიზღუდეს მოქმედების სარბიელი. კომუნიზმი მედგრათ დგას თავის მაღალ პოზიციაზე და ეს არის საუკეთესო საბუთი იმისა, რომ საბოლოვოთ მთელი ქვეყანა კომუნიზმისაა. ის იბრძვის თავგანწირვით და დარწმუნებულია, რომ ის არაფერს არ დაკარგავს ამ ბრძოლაში, შეიძენს კი მთელ ქვეყანას.

## საექსკურსიო ბიურო

„ოდეს ტურფა გაიაფდეს...“

საქართვ. პროფესიონალურ კავშირების ცენტრი, როგორც სჩანს საექსკურსიო ბიუროთ გადაქცევას აპირებს. მას მოწყობილი ჰყავს საბჭოთა რუსეთის შემოსარებლად მუშათა დელეგაცია, რომელიც ამ ჟამათ ჩაცმა-დახურვასა, საგზლის მზადებასა და საზოგადოთ შესაფერისად მოკაზმაშია გართული. რიგში დგას უკვე აზერბაიჯანში მიმავალი მრავალ-რიცხოვანი დელეგაცია—ესეც ალბად იკაზმება, თუმც ნაკლებად, ვიდრე ყინულიან, „დაქცეულ და განიავებულ“ რუსეთში მიმავალი დელეგაცია. ახლა ცენტრს გადაუწყვეტია მორიგი დელეგაციის შედგენა „ევროპისთვის“, სამგზავრო საჭირო „შესაფერი“ თანხა უკვე გაუცია დამფ. კრებას და იმედია ნამდვილ ევროპიულ ეკიპიროვკა სწარმოებს...

საქართველოში მოპატიჟებული იყო რუსეთში ჩამოსული ინგლისის მუშების დელეგაცია, მარა მედიდურ-ამპარტავან ბრიტანელებმა, მგონი, პასუხის ღირსი არ გახადეს სტუმართ მოყვარე მასპინძლები. შარშან მოპატიჟებული იყო საქართველოს ედემის საკუთარი თვალით სანახავად კ. კაუცკი, რომელმაც თუმც განაცხადა თანხმობა, მარა აქამდისაც არა ისმის რა მისი ჩამოსვლაზე ბანკეტებზე გაწუწკებულ სფეროებში.

არც არაფერი ისმის პასუხად იმ მიმართვა-მანიფესტზე, რაიც ასე ხშირად, ასე უნომროდ იგზავნებოდა მენშევიკების პარტიის და პროფ. კავშირთა ცენტრის მიერ ხან ინტერნაციონალის, ხან ამსტერდამის პროფესიონალურ ბიუროს მისამართით—ან ყურში ბამბა ჩაუტენიათ ადრესატებს, ან ვინ იცის, საიქიოს წერილიც კი წაუღიათ ეგებ.

ყოველ შემთხვევაში ევროპის დემოკრატიისაგან ჩვენს კუთხეს ეღირსება ბრა კაუცკი და არა მუშათა დელეგაციები, არამედ სხვა და სხვა სამხედრო მისიები, ბოლოს კა რომის პაპის დელეგატი ისკუნეო მონსინიორ კატალე გაბრიელე მორიონდო.

მარა თუ მთა არ მოდის მაჰმადთან, თითონ მაჰმადი მივა მთასთან და გულს იჯერებს თავისი ედემის ქება-დიდებით. თავისი მძლეთა-მძლეობაზე ათ სართულიან დარვიშური სიტყვების რახა-რუხით, ერთი სიტყვით, განხორციელდება ტრადიციული მეშჩანური პროგრამა: И людей посмотреть и себя показать.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროფ. კავშირთა ცენტრი ახლავე შეუდგება თადარიგს, რომ მორიგი დელეგაცია გაამზადოს დანარჩენ ქვეყნებისთვისაც, აი თუნდა აფრიკის შავკანიანებთან და ჩრდილო-ამერიკის წითელ კანიანებთან. ხმები დადის—დემოკრატია ძლიერიაო იმ ქვეყნებში.

ნ.

## ქრისტიან რაკოვსკი

ამას წინეთ ბ. დევდარიანმა „ერთობაში“ რუმინიის ცნობილი სოციალისტი ახლა კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ენერგიული მებრძოლი, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატათ გააცნო მკითხველებს. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი 1917 წლის რუსეთში-ეს ხომ პოტრესოვების და ლიბერ დანების მოარული სურათი იყო, ეს ისეთი-უკაცრავი მოხსენებაა—სოციალისტი იყო, რომელიც ბურჟუაზიის და მემამულეების კალთებს ტაცებდა ხელს, სამოქალაქო ზავს ექომაგებოდა, ანტანტას იმპერიალისტებთან საომარ თანამშრომლობას ქადაგებდა, მათთან კავშირის გაწყვეტა ავანტიურისტების ჩმახვად მიაჩნდა, რომელიც მომხრე იყო არა თუ „სამშობლოს დაცვის“ იმპერიალისტურ ომში, დამსჯელ რაზმების გაგზავნისაც კი რევოლიუციონურ ვლეხების წინააღმდეგ. ქრისტიან რაკოვსკის არაფერი საერთო ქონებია ამ ტიპის სოციალ-დემოკრატთან, ყველა თავის ლიტერატურულ თუ სხვა საჯარო გამოსვლებში ის გამოდიოდა ომის დროს გარკვეულ ინტერნაციონალისტად, ის დელეგატად იყო ინტერნაციონალისტების კონფერენციაზე ციმერვალდში, სადაც პირველი საძირკველი ჩაეყარა მემარცხნე რევოლიუციონურ ელემენტების გაერთიანებას, რასაც რამდენიმე წლის შემდეგ თან მოჰყვა კომუნისტური ინტერნაციონალის ფორმალური დაარსებაც. ამ კონფერენციაზე არა თუ მემარჯვენე სოციალისტები, კაუცკიანელებიც კი არ ყოფილან, თვით მარტოვი მაშინ ინტერნაციონალის ტობდა და კონფერენციის ცენტრში ითვლებოდა. აქვე, ცენტრში იყო ქრ. რაკოვსკიც, რომელიც ბოლგარელ მარქსისტ კოლაროვთან ერთად წარმოადგენდა და სწორედ იმ ბალკანეთის გაერთიანებულ სოც.-დემ. ფედერაციას, რომელიც დაარსებული იყო სრულიად ბალკანეთის კონფერენციაზე, ქ. ბუხარესტში, 1915 წ. ზაფხულზე. რაკოვსკი ითვლებოდა ახლობელ თანამშრომლათ და მეგობრათ ტროცკის გაზეთის—გაზ. „Наше Слово“-სი, რომელსაც საკმაოდ შეურიგებელი ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა. ამ გაზეთის ფურცლებზე ტროცკი ხშირად ეხებოდა ხოლმე რაკოვსკის მნიშვნელობას, როგორც რევოლიუციონური ინტერნაციონალისტისა, რომელიც ომით გამოწვეულ სოციალიზმის კრიზისში ხედავდა არა ორი განსხვავებული ტაქტიკის შეტაკებას, არამედ „ორი სოციალიზმის“ ბრძოლას (მისი ბროშურა „სოციალისტები და ომი“, 1915 წ.).

„რაკოვსკის იცნობს მთელი ინტერნაციონალი“,—სწერდა ტროცკი გახულიგანებულ ამფითეატროვის საყურადღებოთ. „ეს ადამიანია, რომელიც 20 წელიწადი ერთ და იმავე დროშის ქვეშ დგას. რუმინიის პარტიის და მისი წინამძღოლის, რაკოვსკის სახით ჩვენ წინ დგება ჭეშმარიტი პოლიტიკა რევოლიუციონური ინტერნაციონალისა“, სწერდა იგივე ტროცკი რაკოვსკის დაპატიმრების გამო.

რუმინიის მთავრობამ პირველად „პირობით“ გაათავისუფლა რაკოვსკი, მარა შემდეგ ის რევოლიუციონური აგიტაციისათვის ხელახლა დაიჭირეს, „გაასამართლეს“ და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ის სიკვდილის მოლოდინში იმყოფებოდა ქ. იასსის საშინელ საპყრობილეში (ბუხარესტი უკვე გერმანელებს ქონდათ დაკავებული), მარა რუსეთის რევოლიუციონურ ჯარისკაცებმა ის გამოიყვანეს ციხიდან და პეტერბურგისკენ გაისტუმრეს. რომელ მემარჯვენე მენშევიკს გადახდენია თავს ასეთი რამ? მიუხედავათ ამისა ბ. დევდარიანი მაინც ირწმუნება—მენშევიკების ყრილობაზე ის მემარჯვენე მენშევიკებში იყო და „ჩვენ“, ე. ი. დევდარიანისთანა „ინტერნაციონალისტები“ მას ვებრძოდით მარცხნიდანო. კიდეც რომ ყოფილიყო ასეთი შემთხვევა, ბ. დევდარიანი ვალდებული იყო გაეცნო „ერთობის“ მკითხველებისთვის წინანდელი რაკოვსკი და არ დაკმაყოფილებულიყო მხრების მაღლა წევით და ვითომ და გულწრფელი გაკვირვებით: როგორ მოხდა, რომ „მემარჯვენე მენშევიკი“ რაკოვსკი კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესზე მოხვდა ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციის დელეგატათ? ვალდებული იყო, ჭეშმარიტება რო აინტერესებდეს, ხოლო როცა „ერთობის“ მკითხველების გამოყეყეჩება მიზნად აქვს დასახული, მაშინ „პატარადი ნახულითაც“ იოლად მიდის ჩვენი „თეორეტიკოსი“.

## ადგილობრივი პრესა.

არის ერთგვარი ტიპი არანომალურ ადამიანისა, რომელსაც ახასიათებს თავისებური, სრულიათ უჩვეულო ქცევა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების დროს. როდესაც თქვენ მას ამხილებთ მის ბოროტებას და აღშფოთებული გრძნობით მოითხოვთ მისგან პასუხს, ის მხოლოთ რეგვნულათ იღრიჭება და მით გაგრძნობინებთ, რომ თქვენი აღშფოთება მასში მხოლოთ სიამოვნებას იწვევს. ის რეგვენი არ არის, მხოლოთ განგებ რეგვნობს და მით უფრო საზიზღარია მთელი მისი ქცევა.

აი ასეთი რეგვნული ღრეჭა თავის ხელობათ გაუხდია „ერთობას“ იმ დროს, როდესაც საქმე ეხება მთელი ხალხის „ჩუმ ტრაგედიას“, „სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობის აყრის და გადასახლებას“, რაიცა საბოლოვოთ იმაში გამოიხატება, რომ „მთელი ხალხი, უმეტესათ რასაკვირველია მიწის მუშა, სოფლის ღარიბნი, უნდა აიყარონ, ექსცესებისაგან გადარჩენილი თავისი საბუდარი სულ მთლათ ააფორიაქონ, და გაუდგენ გზას უცხო კუთხეებისკენ, გამოუცნობელ მომავალისაკენ“. ჩვენი გაზეთი აღნიშნავდა, რომ ამ ფაქტს მჭიდრო კავშირი აქვს გადასახლების პოლიტიკასთან, რომელსაც მინისტრი ხომერიკი მენშევიკების პარტიულ სიუზდზე იცავდა, ხოლო სამხრეთ-ოსეთის აჯანყება, ასე ვთქვათ, მეტათ მოხერხებული საბაბი იყო ამ პოლიტიკის გასატარებლათ. მიუხედავათ ფაქტის ასეთი ობიექტიური შეფასებისა, ჩვენ მაინც დავგმეთ მთელი ხალხის აწიოკება და საბოლოვოთ დაუჯერებლათ მივიჩნიეთ იგი.

ახლა ნახეთ, რა კაი გუნებაზე აყენებს „ერთობას“ ეს შემზარავი სურათი:

„მოწყალეო ხელმწიფენო!—აგდებით მოგვმართავს ჩვენ ის—თქვენ იცით, როგორ ისჯება აჯანყება რუსეთში, ე. ი. კომუნისტების ჩრეზვიჩაიკებში. თქვენ იცით, რომ ტყვია და წამება მათთვის იქ მზათაა. მაგრამ აბა თუ ერთხელ რომელიმე აჯანყებულის სასარგებლოთ დაგიძრავთ კრინტი!

„მაშ აქ რამ აგახმაურათ? იმან განა, რომ მთელ ამ ავანტიურაში თქვენც არა მცირედი მუშაობა მიგიძღვით, და გინდათ ახლა მას ხელი დააფაროთ? სთქვით, ნუ გრცხვენიათ“...

რა ვუწოდოთ ასეთ თავაგდებულ კილოს, თუ არა რეგვნული ღრეჭა, რაიცა მოგვაგონებს საქციელს იმ უტიფარისას, რომელიც საჯაროთ სასირცხვო საქმეს სჩადის და თან გამვლელ-გამომვლელთ დარბაისლურათ ეუბნება: ნუ გრცხვენიათ, ბატონებო, რისა გრცხვენიათ!

„და თქვენი ყალბი ფათოსი,—ათავებს „ერთობა“ თავის ღრეჭას—გულჩვილობა და ვითომ მდაბიო ხალხისადმი გულშემატკივრობა, სჯობდა იქ გამოგეჩინათ, სადაც გადაწვა სოფლების და დახვრეტა მუშების და გლეხების ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული, კომუნისტთა სამეფოში“.

საქართველომ არა ერთი და ორი რუსეთიდან გამოქცეული სპეკულიანტი შეიფარა თავის წიაღში, მაგრამ იგი ვერ დაიკვეხებს, რომ მას შეეფარებინოს თუნდაც ერთი მუშა ან გლეხი, საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეული. რას ნიშნავს ეს? ალბათ „ერთობის“ ლოღიკით, ვერც ერთი მუშა ვერ გადურჩა დახვრეტას და მიტომ ვერ მიაღწია საქართველოს სამოთხის საზღვრამდე!

რა შუაშია მაინც აქ საბჭოთა რუსეთი? არც ერთი მაგალითი მისი ცხოვრებიდან შორეულ მსგავსებასაც არ წარმოადგენს ოსების გადასახლების ფაქტთან. მეტსაც ვიტყვით, არც თვითმპყრობელობის დროს, არც საბჭოთა რეჟიმში, არც წინათ და არც ეხლა ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენას, რომ არარუსი მცხოვრებნი რაიმე დანაშაულისათვის თავისი ბინიდან აეყარათ და მათ ადგილას რუსი მცხოვრებნი ჩაესახლებინათ. საქართველოს ეკუთვნის პირველობა ისეთ პოლიტიკის დამყარებაში, როდესაც არა-მპყრობელ ერს ოსებს, თავისი სახლკარიდან ყრის და მათ ადგილს ასახლებს მპყრობელ ერს, ქართველებს და მით საუცხოვო შეუდრეკელობით ანხორციელებს ნაციონალისტების ლოზუნგს: „საქართველო ქართველებისათვის“.

კარგი იქნებოდა, რომ საზღვარგარეთ და რუსეთში მიმავალი დელეგაციები მუ-

დამ თვალწინ იქონიებდენ ამ ფაქტს და თავის მასპინძლებს მას უტყუარათ გადასცემდენ. ამით საუცხოვოთ დაამტკიცებენ თავის ინტერნაციონალისტობას; ესეც არ იყოს, ღირს ასეთი სანაქებო ფაქტით თავმოწონება!

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### მე-2 ინტერნაციონალის იუბილე.

მე-2 ინტერნაციონალს შეუძლია დღეს გადიხადოს თავისი იუბილე, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თავისი ალაპი. ექვსი წლის წინათ, 1 აგვისტოს (19 ივლისს ძვ. სტ.) 1914 წელს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს: დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ეს იყო არა მარტო ბურჟუაზიულ პაციფისტების ილიუზიების განიავება, ეს იყო აგრეთვე, განიავება „მშვიდობიან კაპიტალიზმის“ ილიუზიების. მსოფლიო ომის დაწყებამ კაცობრიობას კიდევ ერთი ტრაღიკულათ დაღუპული რეპუტაცია შემატა—მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო შედეგი. ომის დაწყებამდის, რამოდენიმე ათეულ საათის წინ ბურჟუაზიის დაქირავებულმა მკვლელმა ჟან-ჟორესი—ეს ოპორტიუნიზმის „უკანასკვნელი რაინდი“. მოჰკლა—ამ ბოროტ-მოქმედებით, ბურჟუაზია თითქოს ეუბნებოდა მე-2 ინტერნაციონალს: უყურე და გახსოვდეს, მე მოვკალი ჟორესი—მე კვლავ და ვდევნი ყველა პატიოსან დონკიხოტებს, რომლებიც თავისი გუმანიზმზე ქადაგებით, ხელს მიშლიან ჩემი პროცენტების (მოგების) გულისათვის სასაკლაოზე გავგზავნო მილიონობით ხალხი.

მე-2 ინტერნაციონალის გმირებმა ძლიერ კარგათ იცვნეს თავისი პატრონი. იმათ მიაფურთხეს ჯერ კიდევ გაუცივებელ თავის პატიოსან მოძმის, პატიოსან ჟორესის გვამს, იმ ჟორესისას, რომელიც იყო წვრილ ბურჟუაზიულ ოცნების და ფრაზების მწუხარე პოეტური რაინდის სახე. თვით კი, უკეთესად სცნეს გამხდარიყვნენ ინდუსტრიის რაინდებათ. იგრგვინეს სასწაულებრივი ომის პირველმა ზარბაზნებმა, მთელ ქვეყანაში გაისმა კვნესა-ვაება პირველ დაჭრილთა, ტირილი და გოდება პირველ ქვრივობოლთა. მე-2 ინტერნაციონალის წევრები კი, აშკარათ გადიქცენ კაპიტალის მცველ ნაგაზებათ, და ყველამ თავ-თავის „ნაციონალურ“ ეზოებიდან გახელებული ყეფა დაუწყეს ერთი-მეორეს. ასე დაიწყო გულშემზარავი ტრაგედიული ფარსი მე-2 ინტერნაციონალის სიკვდილის და ცოცხლათ ლპობის.

მას შემდეგ გავიდა ექვსი წელიწადი. უკვე სამი წელიწადია, რაც იმპერიალისტური ომი შეიცვალა კლასების ომათ. მაგრამ მეორე ინტერნაციონალი დარჩა თავის ადგილას, განაგრძო ბურჟუაზიის ქომაგობა, დარჩა პროლეტარიატის მოღალატეთ.

1914 წელს მეორე ინტერნაციონალი დაიშალა და მის წევრებმა იწყეს თაავიანთ „სამშობლოში“ თავ-თავის ბურჟუაზიის სამსახური, ეხმარემოდენ ბურჟუაზიას ეწარმოებია საზიზღარი ომი და გამოელრჩო „თავისი“ მუშები. შემდეგ ბერნში, ამსტერდამში და ეხლა ჟენევაში—ისინი ხელ-ახლად იკრიბებიან ერთად, რომ მსოფლიო მაშტაბით დაეხმარონ კონტრ-რევოლიუციას. იმიტომაც არის ის „ინტერნაციონალი“, რომ დაეხმაროს ინტერნაციონალურ ბურჟუაზიას გამოგუდოს ინტერნაციონალური რევოლიუცია!

არ არის საჭირო მეორე ინტერნაციონალის „საგმირო საქმეების“ ჩამოთვლა. ბრძოლაში დაღუპულ პროლეტარების სისხლით „ეს საქმეები“ წაუშლელათ არის ჩაწერილი ისტორიის წიგნში. აღვნიშნავთ მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის უმთავრეს „ნამუშევრებს ამ 6 წლის განმავლობაში“:

გამცემლობა—1914 წლის მსოფლიო ომის დაწყების დღეებში. განუწყვეტელი გამცემლობა—ომის ხანაში და მის დათავების შემდეგ. მკაცრი ბრძოლა—კომუნისტური ინტერნაციონალის ჩანასახებთან—ციმერვალდთან და კინტალთან 1915 და 1916 წლებში. რუსეთის ბურჟუაზიის და კერენსკის მხარის დაჭერა რუსეთის მუშების წინააღმდეგ—1917 წელს. შეიდენმანელები მხარს უჭერენ ბრესტის სისაძაგლეს—1918 წელს ანტანტელი მე-2 ინტერნაციონალის წევრები მხარს უჭერენ ვერსალის სისაძაგლეს გერმანიის მუშების გაძარცვაში—1918 წლიდან დაწყებული დღევანდლამდის რუსეთის მენშევიკები „ასაზარდოებენ“ კოლჩაკს—1918 წელს. კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობა—1919 წ. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამომგუდავთა ხელის შეწყობა და აგრეთვე უნგრეთელ შეთანხმებლების ღალატი—1919 წელს.

იგივე მოხდა ბავარიაში.

შემდეგ საბჭოთა რუსეთზე თავდამსხმელების ხელის შეწყობა რუსეთის მუშების წინააღმდეგ, აუარებელი ცილისწამება. ასეთი იყო მე 2 ინტერნაციონალის საქმიანობა ამ ექვსი წლის განმავლობაში: ერთიანი, აშკარა, სისტემატიური გამცემლობა.

ეხლა ეს ხალხი იკრიბება ჟენევაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონებო!

თქვენ, შესაფერი დღე ამოირჩიეთ თქვენი კრებულისათვის: ომის დაწყების (6) წლის თავი, თქვენი მთავარი მოღალატეობის წლის თავი. ეს იმ დროს, როცა შეკრებილია კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესიც.

ხომ არ ფიქრობენ ეს ბურჟუაზიის ტაკი-მასხარები თავისი ჯამბაზობით გაიტყუილონ პროლეტარიატის ყურადღება მოსკოვის კონგრესიდან?

ეს სასაცილოა. კომუნისტური ინტერნაციონალი არის ამომავალი მზე. მეორე ინტერნაციონალიდან დარჩა მხოლოდ გამხმარი ტყავი, რომლითაც შეიძლება ვირის ტყავის ნაცვლათ, გადაკრულ იქნას საკრავი დოლი. ამ დოლზე ბრახუნით ჰკუა დაბნეული ბურჟუა სასოწარკვეთილებით მოუხმობს თავის მონებს.

დეე, ილაყბონ ჟენევის ჯამბაზებმა. ჩვენ არ ვიცით შეხვდენ თუ არა მათ, როგორც ეს ერთხელ მოხდა, შვეიცარიის მღვდლები ზარის რეკით. ეს ბუნებრივი იქნებოდა, რადგან მღვდელი და ჟენეველი „სოციალისტი“ შედუღებული არიან მუშათა რევოლიუციის წინააღმდეგ საერთო ბრძოლით. მაგრამ, ზარების რეკვას არ შეუძლია იხსნას ისინი რევოლიუციისაგან.

დეე მართონ ყრილობები. დეე ეძებონ საშუალებები ბურჟუაზიის მიზნების განსახორციელებლათ, თუ როგორ გაამართლონ რევოლიუციის გამოსაგუდავათ ბურჟუაზიის მიერ გაწეული ხარჯები.

დეე, აცახცახებული ხელებით ებღაუჭონ თავის ქაღალდის ხმალს. დეე, ბურჟუაზიის კაბის ქვეშ დამალულებმა, ემუქრონ კომუნისტურ ინტერნაციონალს. დეე, ებღაუჭონ თავის სამარცხვინო სიცოცხლის ნაწყვეტს. მაგრამ, ბატონებო, ერთ წუთსაც ვერ იქნებით თქვენ დამშვიდებულნი! მოიგონეთ მარქსი, რომლის სახელით არა ერთხელ მოისურვეთ დაგემალათ თქვენი სამარცხვინო საქმეები,—მოიგონეთ; „წითელი აჩრდილი დადის ევროპაში, წითელი აჩრდილი კომუნიზმისა“. მიმოიხედეთ—ის უკვე თქვენს ზურგს უკან სდგას. არა სიტყვით, არამედ მრისხანეთ ამართული ხმლით და გაფრთხილებათ თქვენ: მემენტო მორი!—გახსოვდეთ სიკვდილით! გახსოვდეს სიკვდილით, მსოფლიო მენშევიკო!

ყოველ მხრიდან, რუსეთის ყველა სოფლებიდან, ევროპის ფაბრიკა-ქარხნებიდან წამოიშალნენ უთვალავი მებრძოლთა რაზმები! ამ მებრძოლ რაზმების მეთაური და მე-2 ინტერნაციონალის მესაფლავე კომუნისტური ინტერნაციონალი შეიკრიბა მოსკოვში. სულ მალე, ეს მეთაური წარუძღვება თავის მებრძოლ რაზმებს ბრძოლის ველზე ამ დროშით, რომელზედაც აწერია არა მარტო: „სიკვდილი ბურჟუაზიას“—არამედ და უპირველესად ყოვლისა—„სიკვდილი მოღალატეებს“. და თქვენი მოღალატეობის წლის თავზე, ისტორია დაცინვით გეკითხებათ თქვენ, მეორე ინტერნაციონალის უხერხემლო ნაშთებო, გეკითხებათ თქვენ, რომლებიც ერთ დროს მუშათა რევოლიუციას უგალობდით, იმიტომ, რომ გაგეყიდათ ის, როდესაც ეს რევოლიუცია მოვიდა, გეკითხებათ: ნუ თუ თქვენ მოღალატეებო, შეგიძლიათ შეაჩეროთ ამ რევოლიუციის მრისხანე და ძლევამოსილი წინსვლა?!

გ ზერგმანი.

გაზ. „იზვესტია“ 1 აგვ. 1920 წ.

მშრომელნო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით წითელი ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის უძლეველ დროშის ქვეშ!

# ინტერნაციონალის გარშემო.

## კომ. ინტერ. კონგ. პეტერბურგში

(გაგრძელება. იხ. „ახალი კომუნის. № 22)

### ამხ. ზინოვიევის სიტყვა

#### დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივისცემა

„ამხანაგებო, კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის დავალებით ვაცხადებ: კომუნისტური ინტენაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესი გახსნილია. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყვირიან: „ურა!“ მუსიკა უკრავს „ინტერნაციონალს“).

ამხანაგებო, პირველი ჩვენი სიტყვა—მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეგროვილ მუშების, უნდა ვუძღვნათ ჩვენი საუკეთესო მეგობრების და ბელადების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპენ კომუნისტურ ინტერნაციონალის საქმისთვის. თქვენ იცით, რომ ამ წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი ქვეყანა, სადაც არ დაღვრილიყოს მუშა-კომუნისტების და მუშათა კლასის ბელადების სისხლში. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი ჰუნგრეთელი მეგობრების სახელები, საკმარისია გავიხსენოთ ამხანაგები: ლევინე, ტიბორა, სამუელი, იეგიხერა და ბევრი სხვა, რომლებიც შეუერთდენ გერმანიის და რუსეთის რევოლიუციების დასაწყისშივე დაღუპულ რევოლიიციონერების სავანეს. ფინეთში, ესტლანდიაში, ჰუნგრეთში ამ ხნის განმავლობაში ასობით და ათასობით დაიღუპენ მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. ვხსნით რა კონგრესს, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვიგონებთ იმ საუკეთესო ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც ემსხვერპლენ კომუნისტურ ინტერნაციონალის საქმეს.

მე წინადადებას ვაძლევ მთელ კონგრესს ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ დაღუპულ ამხანაგებს. (ყველანი დგებიან. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს).

#### სალამი ამხანაგებს მონატს, ლორიოს და სხვ.

და შემდეგ ჩვენ ვიგონებთ დღეს იმ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც ამ წუთში სხვადასხვა ბურჟუაზიულ რესპუბლიკების ციხეებში სხედან. ჩვენ ვიგონებთ ჩვენს ფრანგ მეგობრებს, ამხ. ლორიოს, მონატს და მთელ რიგს დანარჩენ ამხანაგებს, რომლებიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ კონგრესამდის ციხეებში ჩაყარეს, ჩვენ სალამს ვუძღვნით მუშათა რევოლიუციის ყველა იმ აუარებელ მებრძოლებს, რომლებიც იტანჯებიან გერმანიის, ჰუნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის ამერიკის ციხეებში. ჩვენ ძმურათ ვართმევთ ხელს ამერიკის მუშა კომუნისტებს, რომლებსაც უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით სასტიკათ დევნიდენ. ამერიკის ბურჟუაზია მუშა-კომუნისტებს და საზოგადოთ რევოლიუციონერებს დამშევით ებრძვის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ჩვენ მეგობრებს არ შეუძლიათ იშოვონ იქ სამუშაო, ისინი მომწყვდეული ყავთ ბადეში. არ არის დარჩენილი არც ერთი ისეთი სისასტიკე, რომელიც ამერიკის ბურჟუაზიას არ ეხმაროს იმ მუშების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან კომუნისტების, მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშების ან სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციების რიგებში, რომლებიც მიდიან იმავე გზით, რა გზითაც მიდის კომუნისტური ინტერნაციონალი.

ჩვენ გამოვსთქვამთ ულრმეს რწმენას, რომ გამართლდება სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვა არც ისე დიდი ხანია ერთმა ფრანგ-ამხანაგმა ლორიოს, მონატის და სხვების დაჭერის შემდეგ. მან სთქვა: „დიახ, ჩვენ განვიცდით ისეთ დროს, როდესაც მართველი ბურჟუაზია, „დემოკრატები“ და, ეგრედ წოდებული, „სოციალისტები“ ციხეებში ყრიან კომუნიზმის საუკეთესო ბელადებს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე როლები შეიცვლება, და ისინი, ვინც დღეს ბურჟუაზიულ მთავრობებში სხედან, ხვალ ციხეებში ამოყოფენ თავს, ხოლო მათ კი, ვინც ციხეებშია ჩაყრილი ბურჟუაზიის მიერ, მუშათა კლასი ხვალ ძალა-უფლების სათავეებში ჩააყენებს“ (ტაშის-ცემა).

#### ბრძოლა მე-2 და მე 3 ინტერნაციონალებს შორის.

ამხანაგებო, სულ ერთი და მეოთხედი წელიწადია, რაც დაარსებულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალი. სრულიად გასაგებია, რომ ის უპირველეს ყოვლისა, ხმლით მე-2 ინტერნაციონალზე უნდა მისულიყო რომელთანაც ის უშუამავლო ბრძოლაში ჩაება. მეგობრებმაც და მტრებმაც—დღევანდელ კონგრესის წინაშე, რომელიც მსოფლიო კონგრესათ შეიქნა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმ ფაქტის წინაშე, რომ აქ შეკრებილან წარმომადგენლები მთელი ევროპისა, და აგრეთვე ამერიკისაც უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ ჩვენი ბრძოლა მე-2 ინტერნაციონალთან ნაყოფიერათ დაგვირგვინდა. დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ მე 2 ინტერნაციონალი სასტიკათ იქმნა დამსხვრეული მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ. (მქუხარე ტაში),

#### გაიმარჯვა მე-3 ინტერნაციონალმა

ამნანაგეაო, რას ნიშნავს ეს ფაქტი? ეს ნიშნავს: ჩვენ გავიმარჯვეთ მე-2 ინტერნაციონალზე. ბრძოლა ჩვენსა და მე-2 ინტერნაციონალს შორის არ არის ბრძოლა ერთ და იმავე რევოლიუციონურ პროლეტარულ მოძრაობის ორ ფრაქციებს შორის, ეს არ არის ბრძოლა მიმდინარეობათა შორის ერთ კლასიურ ბანაკში, ეს ფაქტიურად კლასთა ბრძოლაა. მართალია მე-2 ინტერნაციონალის რიგებში არიან ბევრი ჩვენი ძმები კლასის მიხედვით, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენი ბრძოლა მე-2 ინტერნაციონალთან არ არის ფრაქციების ბრძოლა ერთა კლასის შიგნით, ის არის რაღაც შეუდარებლათ მეტი.

მე-2 ინტერნაციონალის გაკოტრება გამოხატავს თვით ბურჟუაზიულ წყობილების გაკოტრებას. აი რაშია ჩვენი დებულების სიმძიმის წერტილი. ჩვენ მიტომ გავიმარჯვეთ მე-2 ინტერნაციონალზე, რომ კაპიტალიზმის ღმერთებს შემოაღამდათ. ჩვენ მიტომ გავიმარჯვეთ მე-2 ინტერნაციონალზე, რომ ბურჟუაზიამ მთელ მსოფლიოზე ვერსად ვერ შესძლო და ვერც შესძლებს ლიკვიდაცია უყოს იმპერიალისტურ ომის შემკვიდრეობას. ჩვენ ვიმარჯვებთ მე-2 ინტერნაციონალზე იმიტომ, რომ ხალხთა ლიგა, მთელი ანტანტა და მთელი ბურჟუაზია უძლურნი არიან გააკეთონ რაიმე სერიოზული ევროპის ეკონომიური ცხოვრების აღსადგენათ. ჩვენ მიტომ გავიმარჯვეთ მე-2 ინტერნაციონალზე, რომ ბურჟუაზია უძლური აღმოჩნდა აეხსნა ის ამოცანები, რომლებიც ასე მწვავეთ და ულმობლათ დგას მის წინაშე.

მე-2 ინტერნაციონალმა გადააბა თავისი ბედი ბურჟუაზიის ბედს 1914 წ. პირველ თოფის გავარდნიდანვე. ყოველი ქვეყნის სოციალ-პატრიოტებმა მხარი დაუჭირეს „თავის“ ბურჟუაზიას და „თავის“ ბურჟუაზიულ „სამშობლოს“.

ასე მიდიოდა საქმე ომის ბოლომდე. მეორე ინტერნაციონალმა ომის დაბოლოვების შემდეგაც გადააჯაჭვა თავის ბედი ბურჟუაზიის ბედს, ამ შემთხვევაში უმთავრესად იმ ბურჟუაზიულ ქვეყნების ჯგუფების ბედს, რომლებმაც გაიმარჯვეს იმპერიალისტურ ომში.

თქვენ გახსოვთ მეორე ინტერნაციონალის აღდგენის პირველი ცდა, როდესაც დაიწყო იმპერიალისტური ქლეტა. თქვენ გახსოვთ კონფერენციები ბერნში და ლიუცერნში, რომლებზედაც მე-2 ინტერნაციონალის ეგრედ-წოდებულ ხელმძღვანელ ნაწილს ჰსურდა რაც არ უნდა ყოფილაყო, კავშირში შესულიყო ხალხთა ლიგასთან. მეორე ინტერნაციონალის აღდგენის მომხრე ლიდერებმა დაიწყეს ვილსონის კალთებზე ხელების პოტინი. თქვენ გახსოვთ ამხანაგებო, რომ ბერნის კონფერენციაზე მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარე ამ კონფერენციის გახსნისას მიესალმა ვილსონს და დასვა ის ჟორესის გვერდით, რითაც შეურაცხყო საფრანგეთის მუშების დიადი ტრიბუნის აჩრდილი.

მე-2 ინტერნაციონალმა ომის დაბოლოვების შემდეგ უკვე გადააჯაჭვა თავისი ბედი ბურჟუაზიას: მის იმ ნაწილზე, რომლის შესახებაც მე-2 ინტერნაციონალი ფიქრობდა, რომ ხალხთა ლიგაზე უძლიერესი ქვეყნათ აღარავინააო. მან ეს ისურვა. ბურჟუაზია დაღუპვის კარზე დგას. ამიტომაცაა, რომ ის ლახვარი, რომელთაც მსოფლიო მუშათა კლასი და მისი ავანგარდი მე-3 ინტერნაციონალი აპობდა ამ წლის განმავლობაში ბურჟუაზიას, ეს ლახვარი შორიდან მე-2 ინტერნაციონალსაც ესობოდა აგრეთვე. მე-2 ყვითელმა ინტერნაციონალმა თავისი ბედი მჭიდროთ დაუკავშირა ჩვენ თვალწინ მომაკვდავ კლასის ბედს. აი თუ რატომ არის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი გამარჯვება მე-2 ინტერნაციონალზე. ვიმეორებთ ეს არ არის მუშათა მოძრაობის ერთი ფრაქციის გამარჯვება მეორეზე, არა... აქ რაღაც უფრო მეტია: ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს გადააბას თავისი ბედი ბურჟუაზიულ კლასის ბედს, თვითონაც იღუპება. აი კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2 ინტარნაციონალზე გამარჯვების ისტორიული აზრი. მუშათა კლასი, როგორც ახალი კლასი ამომავალი ვარსკვლავია. ის მიდის ძალაუფლებისაკენ. ამავე დროს ბურჟუაზია გაიგუდა მუშათა კლასის სისხლში და მისი ვარსკვლავიც ჩაქრა. და როგორც მკვდარი ითრევს ცოცხალს, ისე ბურჟუაზია ნახევრათ ცოცხალ მე-2 ინტერნაციონალს ითრევს და ალრჩობს მას თავის მომაკვდავ მკლავებში. ორივე ისინი იღუპებიან ჩვენ თვალწინ. მალე დედა-მიწა გაიწმინდება ბურჟუაზიულ ჩაგვრისაგან, ყველა იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც დატყვევებული ყავდათ სულიერად მუშათა კლასი. მალე ჩვენი მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა შესძლებს მშვიდობიანათ დაიწყოს კომუნიზმის საფუძვლებზე აგებულ ახალი მსოფლიოს შენება.

ამხანაგებო, ამ წლის განმავლობაში „დემოკრატიის“ იდეიამ ფერი დაკარგა ჩვენ თვალში და ამ ჟამათ უკანასკნელ დღეებს განიცდის. კომუნისტურ ინტერნაციონალის და საერთოდ უკანასკნელ წლების კომუნისტების მოძრაობის მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტათ მე ვთვლი თეზისებს ბურჟუაზიულ დემოკრატიის შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა პირველ კონგრესზე. ამ თეზისებმა მთელი ქვეყანა შემოიარეს. მთელი სოფლიო მუშები, გლეხების შეგნებული ნაწილი და ჯარის-კაცები სწავლობდენ მას. ხოლო მოვლენათა მსვლელობა ამ 15—16 თვის განმავლობაში ხელს უწყობდა იმას, რომ თვითეულ ნაბიჯზე განემტკიცებია იმ ანალიზის სისწორე, რომელიც მოგვცა კომუნისტურ ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა ამ თეზისებში მონიშნულ ბურჟუაზიულ დემოკრატის დაფასებაში როდესაც ამერიკის ბურჟუაზიამ მთელი მსოფლიოს თვალ წინ გააუქმა ყველა მისი საკუთარი კანონები, ყველა კონსტიტუციონური გარანტიები მუშათა კლასისთვის, და საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ კანონის მიხედვით სასტიკი პარლამენტარული წესით არჩეული კომუნისტებს პარლამენტის მაგივრათ ციხეებში ყრიან—როდესაც ბურჟუაზიულ დემოკრატიის კლასიკური ქვეყანა, როგორიც არის ამერიკა, ყოველ ნაბიჯზე არღვევდა დემოკრატიის პრინციპებს, ის ამით აშკარა გაკვეთილს იძლეოდა იმისას, თუ რამდენათ მართალია კომუნისტური ინტერნაციონალი თავისი პროგრამებში და თეზისებში, სადაც ნაჩვენებია, ეგრედ წოდებული დემოკრატიის ნამდვილი ისტორიული როლი.

#### კონგრესის ამოცანები.

ამხანაგებო, ჩვენს წინაშე კომუნისტურ ინტერნაციონალის სწორეთ მსოფლიო კონგრესია. ჩვენ კონგრესზე წარმოდგენილია მთელი მსოფლიოს მუშების მებრძოლი ავანგარდი. მსოფლიო კონგრესის წინაშე ჩვენ დავსვამთ საკითხების მთელ რიგს, რომლებიც სადავოა ამ ჟამათ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ჩვენ მოვიწვიეთ ყრილობაზე მუშათა ორგანიზაციების მთელი რიგი, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან სავსებით კომუნისტური და ეს-ეს არის ყალიბდებიან. მუშათა კლასის საერთაშორისო მდგომარეობა ხანგრძლივი ომის შემდეგ, ასეთი მწვავე კრიზისის შემდეგ ისეთია, რომ ზო-

გან მუშათა ორგანიზაციები ჯვარედინ გზაზე იმყოფებიან. მათ ჯერ კიდევ არ გამოურკვევიათ საბოლაოთ თავიანთი ტაქტიკა, მათ ჯერ კიდევ არ ამოურჩევიათ საბოლაო გზა. ჩვენ მოვიწვიეთ ჩვენთან ერთად სამუშაოთ ყველა ის მუშათა ორგანიზაციები, რომლების შესახებაც დარწმუნებული ვართ, რომ პატიოსნათ სურთ იბრძოლონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ ვილაპარაკებთ მათთან, როგორც ჩვენ ძმებთან ბრძოლაში, როგორც ძმებთან კლასის მიხედვით, რომლებიც მზად არიან ჩვენთან ერთად თავი დასდონ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისთვის. ჩვენ არ დავემსგავსებით მე-2 ინტერნაციონალს, რომელიც დასცინოდა და ცილს წამებდა რევოლიუციონურ მუშებს, რომელიც იყო ორ-პიროვანი იანუსი: მარჯვნით—მხიარული ღიმილი, მარცხნით: ბრაზმორეული კბილთა ყრჭენა. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული,—ცხოვრება ასწავლის. იმპერიალისტურმა ომმა ბევრი რამ ასწავლა მუშებს. სინდიკალიზმის ანარქიზმის, ინდუსტრიალიზმის და shop stelvards-ების პატიოსანი რევოლიუციონური ელემენტები გადმოვლენ და კიდევაც გადმოდიან კომუნიზმის მხარეზე. ჩვენი საქმეა—დავეხმაროთ მათ, დავაჩქაროთ ეს.

მეორე მხრით ჩვენს კონგრესს ესწრებიან გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის, ამერიკის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც მხოლოდ ახლახან დასტოვეს დაბოლოს... მე-2 ინტერნაციონალის რიგები. ამ პარტიებში მყოფ პატიოსან რევოლიუციონურ მუშებთან ჩვენ გვსურს კომუნისტური კავშირი.

(შემდეგი იქნება)

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი პ რ ე ს ბ ი უ რ ო ს ი

**რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში

### საქონლის გაცვლის განახლება

**არხანგელსკი** 7 აგვ. მოკლე დროში დამთავრდება მუშაობა მდ. ობის და ენისეის მდინარეებით მიმოსვლის საქმეში. ამ გზის დანიშნულებაა საგარეო ვაჭრობის აღდგენა. ამ გზით გადიზიდება კანაფი, ტყავი, ფრინველის ბუმბული და სხვა. ფრინვლის ბუმბული დამზადებულია 59 ათასი ფუთი მდ. რობის შესართავთან.

### წითელი დროშით დაჯილდოება

**ვიატკა,** 15 აგვ. ქ. ვიატკის რკინის გზის ქსელის მუშები შაბათობით გულმოდგინე ნაყოფიერ მუშაობისათვის რევოლიუციონურ შრომის ფრონტზე, „გუბისკოლპომის“ დადგენილებით დააჯილდოვეს წითელი დროშით. დროშის ბოძება მოხდა ქალაქის ყველა პროფესიონალურ კავშირების და ჯარის თანდასწრებით.

## საბჭოთა აზერბეიჯანში.

### ინდუსების სექციაში.

**ბაქო,** 18 აგვ. ინდუსების სექცია ემზადება ინდუს დელეგატების მისაღებათ, რომლებიც ჩამოვლენ ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე. უკვე გამოვიდა ორი ნომერი ინდუსური გაზეთის ,,აზად-იდუსტანი‘‘ ურდუს ენაზე. გაზეთში დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი იმ ეკონომიურ დაბეჩავებას, რომელშიც ჩააგდო ინდოეთი ინგლისის ბატონობამ. სექციას გადაწყვეტილი აქვს თავის ბინაზე (მილიუტინის ქ. 4) მოაწყოს ლექციები და საუბარი ინდოეთის ხალხის და მათი ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ.

### უნივერსიტეტისათვის.

**ბაქო,** 19 აგვ. განათლების სახალხო კომისარმა შუამდგომლობა აღძრა, რათა მის განკარგულებაში გადავიდეს სააგარაკო ადგილი —საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საჭიროებისათვის.

## საზღვარგარეთ

### ი ნ დ ო ე თ შ ი.

**ტაშკენტი,** 14 აგვისტო. ინდოეთში, აფრიდიების რაზმები, პეშავარის ოლქიდან განაგრძობენ ინგლისელ ჯარებზე თავდასხმას. ამასვე განაგრძობენ ზახლენზაის რაზმები. კაშგურანის რაიონში ინგლისის ჯარს თავს დაესხენ მაკსუგოვის და ვანოვის რაზმები და იძულებული გახადეს ისინი უკან დაეხიათ. პარტიზანული ომი ინდოეთში არ სწყდება. ინგლისელებს არ შესწევთ ძალა ეომოს მათ. ადგილობრივ მცხოვრებთა გაზეთების საწინააღმდეგო რეპრესიები გრძელდება. უკანასკნელ დროს დახურეს 350 გაზეთი. რამოდენიმე ხნის განმავლობაში 40 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს 300 გაზეთი.

### საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

**კოპენგაგენი,** 6 აგვ. დანიის სოციალისტები აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას საბჭოთა რესპუბლიკის ცნობის სასარგებლოთ. საბჭოთა რესპუბლიკის სახელზე დანიის სოციალისტები აწყობენ დიდ დღეობას ქ. ესპერგარდში, სადაც ცხოვრობს ამხ. ლიტვინოვი.

### ნახშირის მაღაროს მუშები.

**ლონდონი,** 8 აგვ. ინგლისის მთავრობამ უარყო ნახშირის მაღაროს მუშების მოთხოვნა, რათა მათი კვირეული ხელფასი გაედიდებიათ ორი შილინგით. კავშირის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა 12 აგვისტომდის მოიწვიოს ნახშირის მაღაროს მუშების ნაციონალური კონგრესი, სადაც ხელფასის მომატების საკითხი იქნება გარჩეული.

### „ძირს მეფე“.

**ვენა,** 10 აგვისტო. გაზ. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ იტყობინება, რომ იტალიის მე-14 პოლკმა იდრიაში მოაწყო მანიფესტაცია. ოფიცრები და ჯარის კაცები გაიძახოდენ: „ძირს მეფე“—„გაუმარჯოს ლენინს“! ოფიცრები ურჩევდენ ჯარის კაცებს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ნაშობლოში. რვა ოფიცერი დაატუსაღეს.

### რევოლიუციონური მოძრაობა ისპანიაში.

**მოსკოვი,** 10 აგვ, კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის წევრი ამხ. ანჯელ-პესტაინო, გაზ. „პრავდის“ ფურცლებზე აღწერს ისპანიის რევოლიუციონურ სინდიკალისტურ ორგანიზაციის მოქმედებას. ეს ორგანიზაცია—„ნაციონალური შრომის კონფედერაცია“ სდგას კომუნიზმის და კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე. წარსული წლის დამლევს მას ყავდა 10 ათასი წევრი. უკანასკნელ პარტიულ კონგრესს დაესწრო 525 დელეგატი, რომლებიც ითვლებოდენ მილიონ მუშების წარმომადგენლად. ამრიგათ „ნაცინოალურ შრომის კონფერენციამ“ თავისი მოქმედებით და ბრძოლის მეთოდის საშუალებით შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა თითქმის ისპანიის მთელი მუშათა კლასი.

ისპანიის მთავრობა, ბურჟუაზიის დახმარებით, ცდილობდა ხელი შეეშალა რევოლიუციონურ სინდიკალისტურ ორგანიზაციის მუშაობისათვის. კონგრესის ორი კვირის შემდეგ მთავრობამ შრომის კონფედერაცია გამოაცხადა კანონს გარეშე და საუკეთესო მებრძოლები ციხეებში დაამწყვდია, სადაც ამ დრომდის იმყოფებიან. „ნაციონალური შრომის კონფედერაციის“ დევნამ სულ სხვა ნაყოფი გამოიღო. ის გაძლიერდა რიცხვით, გაამაგრა რევოლიუციონური აღტყინება და განმანთავისუფლებელ მოძრაობის მეთაური გახდა. მან შემოიკრიბა მთელი ისპანიის მშრომელები და მუშათა კლასი.

### სომხეთის მანდატი

**ათინა,** 4 აგვ. ათინის გაზ. „იზოსპასტის“ ცნობით რუმინიას სურს ხალხთა ლიგისგან მიიღოს სომხეთის მანდატი.

### მუშების საწინააღმდეგო რეპრესიები საბერძნეთში

**ათინა,** 12 აგვ. საბერძნეთში, სამი თვის გაზმავლობაში გრძელდებოდა ლოკაუტი სალითონო წარმოებაში. ამან აიძულა მუშები უარეყოთ თავის მოთხოვნები და დათმობაზე წასულიყო. მუშამეთამბაქოეთა შორის დიდი მღელვარებაა. ამის მიზეზია მთავრობის უმოქმედობა, რომელიც ნებას აძლევს ამერიკელ კაპიტალისტების ტრესტებს გაიტანონ საბერძნეთიდან დაუმუშავებელი თუთუნი. მაისის დასაწყისში, კავალში და სხვა ადგილებში მოხდა მუშების აჯანყება.

### ბულგარეთ-საბერძნეთის დამოკიდებულება.

**ათინა,** 12 აგვ. ვენიზელოსსა და სტამბულინსკის შორის შემაძრწუნებელი ერთსულოვნებაა. ორივეს სურს—ბულგარეთ საბერძნეთის ომი.

ვენიზელოსს სურს სამუდამოთ დაამარცხოს და უძლურყოს ბულგარეთი.

სტამბულინსკის მიზანია ამ ომით შეძლება მიეცეს მას გაანადგუროს თავის ქვეყანაში კომუნისტები.

# უკანასკნელი ცნობები

### ყირიმის ფრონტზე.

**ბაქო,** 20 აგვ. ყირიმის ფრონტზე ჩვენი ნაწილები მარჯვეთ უტევენ. მტერი შევავიწროვეთ. ჩვენ 5 ვერსით მივუახლოვდით დიდ ტოკმაკს და გეიდელბერგის რაიონში გავარღვიეთ თეთრგვარდიელთა ფრონტი. ჩვენ წამოვიყვანეთ მრავალ რიცხოვანი ტყვეები. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა სამხედრო დავლა.

### ქემალ-ფაშის სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.

**ანგორა,** 3 აგვ. 24 ივლისის დემირდჟის მახლობლათ, კუტახია და სიმავას ჯარები შეხვდენ ბერძნების რაზმებს, რომლებიც გაანადგურა ჩვენმა ჯარმა. ბერძნებმა დატოვეს 500 მოკლული. ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი სამხედრო ქონება. ერზერუმის ჯარები ამ დღეებში წავლენ ყარსისკენ. ბერძნების, ინგლისელების და რუსეთის (რუმი-ანატოლიის ბერძნებია) ჯარები აკჯაბის მხარეზე იხევს უკან. მათ დაედევნა ჩვენი ჯარი. ჩვენ დავიკავეთ კანდერე (იზმიდის და ადაბაზარის ჩრდილოეთით). მოწინააღმდეგეს უკან დახევის დროს თან მიყავს ქრისტიანი მცხოვრებლები.

**ანგორა,** 5 აგვ. 30 ივლისს ჩვენმა ჯარებმა იძულებული გახადეს მოწინააღმდეგე, დაეტოვებია ქ. ხისარ-კიოი და 2 აგვისტოს ხელჩართულ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა გაანადგურა მტრის ორი რაზმი. ჩვენი ჯარების სიმამაცე გამოუთქმელია. ბერძნები გარბიან. ხელთ ჩაგვივარდა უამრავი სამხედრო მოწყობილობა, პალატკები, ბრინჯი, შაქარი და ოთხფეხი საქონლის ჯოგი. ტყვეთა რიცხვი 500 კაცამდის აღის. დღეს ნიკომიდიის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაამარცხეს ოსმალეთის სომხების რაზმები, რომელთაც ეხმარებოდა სამხედრო გემები. კიოსის (კემლიკ) აღმოსავლეთით ჩვენი მოხერხებული კონტრ-შეტევით გავაქციეთ ბერძნების ჯარები, რომელთაც ეხმარებოდათ ბერძნების და სომხების აჯანყებულები. დიდი ბრძოლის შემდეგ გავანადგურეთ მტრის რაზმი. მოკლულია 500 და დაიჭრა 12 კაცი. ტყვეთ წამოვიყვანეთ მრავალი ჯარის კაცი, დემირდჟის მახლობლათ გრძელდება ბრძოლები. დიდი ზარალი ნახა ბერძნების 53 დივიზიამ.

# ახალი ამბები

— **ოსების დელეგაციის ახალი განცხადება.** გაზ. „სლოვო“ იტყობინება: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თმჯდომარის სახელზე მოვიდა ქ. თბილისის ოსი-მუშების დელეგაციებისაგან განცხადება, სადაც ხაზგასმულია სამხრეთ ოსეთის ყველა მცხოვრებთა მდგომარეობის სრული გამოურკვევლობა და უმწეობა მათი ბორჩალოში, ყარაიაზში და სხვა ადგილებში გადასახლების გადაწყვეტილების გამო. დელეგატები თხოვენ მთავრობას: 1) გააცნონ მათ ოფიციალურად ის ღონისძიებანი, რომლებიც გადასწყვიტა მან გაატაროს სამხრეთ ოსეთში; 2) გააცნონ მათ, რომ ყველა ოსების გადასახლება ტარდება თანახმად ძალა-უფლების ორგანოების გადაწყვეტილებისა და არა ძალა-უფლების ცალკე წარმომადგენლების პირადი განკარგულებით; 3) რომ ნამდვილი ზომები იქნეს მიღებული მთავრობის განკარგულებით ცხოვრებაში სისწორით გატარებისათვის ადგილობრივათ, და არა ადგილობრივ მართველობის გარჩევის მიხედვით; 4) რომ საზოგადოთ ოსებს და კერძოთ მუშა-ოსებს მიეცეს დრო და შეძლება გადასახლდენ მთავრობის გადაწყვეტილების თანახმათ აუჩქარებლათ; 5) რომ ქ. თბილისის მუშა-ოსებს ნება მიეცეს მოაწყონ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ყველა ოსების რესპუბლიკიდან გადასახლებამდის შეასრულებდა გადასახლების ბიუროს ფუნქციებს, და დაბოლოს 9) რომ კომისიაში, რომელიც მუშაობს ცხინვალში, მუშა-ოსების წარმომადგენლებს მიეცეს 3 ალაგი,

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ ბათომის შრომის კომისარს აცნობა, რომ სალიკვიდაციო ჯილდოს ნორმები, რომელიც ინგლისელებმა დააწესეს ოკუპაციის დროს, ამ ჟამად გაუქმებულია, ვინაიდან ბათომის ოლქის რესპუბლიკასთან შემოერთების შემდეგ, იქ საერთო სახელმწიფოებრივი კანონები ვრცელდება. რაც შეეხება ტფილისის—მომრიგებელ კამერის მიერ დაწესებულ სალიკვიდაციო ჯილდოს ნორმებს, იგი სავალდებულოა არა მარტო ტფილისისათვის, მრამედ მთელ რესპუბლიკისათვისაც და მათ შორის ბათომისა და ბათომის ოლქისათვის.

— **ახალი ნიხრი.** სასურსათო კომისიამ დააწესა ახალი ნიხრი შემდეგ საგნებზე: ჭიქა რძე 10 მან., კვერცხი 10 მ. დანაყილი მარილი გირვანქა 10 მ. ფუთი 400 მან. გირვანქა დაუნაყავი მარილი 9 მან. 50 კაპ. ფუთი 380 მან. გირვანქა ქართოფილი 9 მან. ფუთი 360 მანეთი.

— **რუსთა ეროვნულ საბჭოში.** რუსთა ეროვნული საბჭო, საქართველოს მოქალაქე რუსების ყრილობის მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა. ყრილობის მოწვევა მიმდინარე წლის ნოემბერში არის განსაზღვრული.

— **ქუთაისი** (საქ. კორ.). ამას წინად დაარსებული სავაჭრო სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება, რომლის ძირითად თანხას 30 მილ. მან. შეადგენს საქსოვ-ფაბრიკისა და მექანიკურ ქარხნის მოწყობას შეუდგა.

# დეპეშები

### გერმანიის ნეიტრალიტეტი.

**ბერლინი,** აგვ. 5. ებერტმა ბრძანება გასცა, რომ სასწრაფო ზომები მიიღონ პრუსიის ნეიტრალობის დასაცავად. მთავრობის ახალი დეკრეტი კრძალავს იარაღისა და სამხედრო მასალის პოლონეთსა და რუსეთში გატანას.

### კაპიტალისტები პოლონეთს ეხმარებიან.

**ვაშინგტონი,** აგვ. 9. „ოორიანტ-ნევ“ იუწყება: შეერთეაული შტატები დასთანხმდება მისცეს პოლონეთს 50 მილ. დოლლარი სესხის სახით ამ ფულით პოლონეთმა ამერიკაში მასალები უნდა შეიძინოს.

### ვარშავას ევაკუაცია.

**ბათომი.** აგვისტოს 18. (დ. ს. საქ. კორ.) სტამბოლის გაზეთი „ვეჩერნაია პრესის“ ცნობით ვარშავის ევაკუაცია სავსებით დასრულდა. ქალაქში დარჩენილია მხოლოდ ოფიციალური დაწესებულებები და მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი.

### რუსეთის ჯარები სოლდაუს ოლქში.

პოლონეთის დერეფან სოლდაუში შესულ რუსეთის ჯარების კომისარმა განაცხადა, რომ მან უმაღლესი დეპეშებით მიიღო მოსკოვიდან განკარგულება რათა სოლდაუს ოლქის მართვა-გამგეობა გადასცეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, ვინაიდან რუსეთს არა აქვს განზრახული გერმანიის შინაურ საქმეებში ჩაერიოს.

### სამხედრო ბეგრის გაუქმება

**კონსტანტინოპოლი,** აგვ. 12. „ჯოლოვეროდინშმაინი“ აქვეყნებს ბერლინიდან მოსულ დეპეშას, საიდანაც სჩანს, რომ რეიჰსტაგს სამი დღის კითხვის შემდეგ მიუღია კანონპროექტი გერმანიაში სავალდებულო სამხედრო ბეგრის გაუქმების შესახებ.

### რუსეთ-პოლონეთის საზავო კონფერენცია

**ლონდონი,** აგვისტოს 19. (რადიო) მიღებულია ოფიციალური ცნობა მინსკის კონფერენციის შესახებ. ცნობა მოსულია მოსკოვის რადიო სადგურიდან, მისი შინაარსი ასეთია: დანიშევსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა რუსეთის მშვიდობიანობის პოლიტიკა. თანვე დასძინა, რომ რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულებას დიდი პატივით ეპყრობა ð მის უფლებას, რომ აირჩიოს მართვა-გამგეობის სასურველი წყობილება ხელს არ ახლებსო. ამასთანავე ბალშევიკები იძულებული არიან, მოითხოვონ გარანტია პოლონელ მემამულისაგან. ეს გარანტია საჭირო არ აქნებოდა მაშინ, რომ საქმე მუშებთან და გლეხებთან გვქონდესო.

### იტალია რუსეთის შესახებ.

**ადესა,** აგვ. 16. იტალიის მთავრობამ მოკავშირეებს ნოტა გაუგზავნა. ნოტაში აღნიშნულია საჭიროება საბჭოთა რუსეთთან ღიპლომატიურ და ეკონომიურ დამოკიდებულების მოწესრიგებისა.

# პატარა ფელეტონი

## სიცრუის „ვიცე...“

ჩრდილოეთიდან ჩამოვიდა
თბილისში სანდრო...
„ბორბა“—„ერთობას“ ედგათ ამ დროს
დღენი საავდრო.
და უთხრეს: ძმაო, მართალია,
ხარ შენ ახალი,
მაგრამ გვერწმუნე, აქ ჩვენ შორის
არ გვყავს ბადალი.
თავს ცუდათა ვგრძნობთ, შეუპყრივართ
ლაჩრულ სიმხდალეს,
ყველა მიგვიხვდა, ყველა ხედავს
დღეს ჩვენს სიქაჩლეს.
და რომ გაქნილი თავის კანის
არ ჩნდეს სიტიტვლე,
საჭირო არის ძმაო სანდრო,
შენი სიფხიზლე,
ბევრს კარგს ნახავდი ჩრდილოეთში
უეჭველია,
მაგრამ თქმა სიმართლისა სოციალიზმზე
მანვებელია.
აქაც არიან ის წყეული
კომუნისტები,
არ გვისვენებენ: უნდათ აგვდონ
რკინის ნიჩბები;
და თუ დაგვიხსნი, გაგვითენებ;
დღეს დარიანსა,—
საწვრილმანოებს წავაწერავთ
„დევ-დარიანსა“.
,,მეც ამ აზრის ვარ, ვფიცავ თქვენს თავს‘‘,
—მიუგო სანდრომ;
,,მეც... ჰო, გამწაფა საკმარისათ ამ დარგში ამ დრომ;
და სანამ შემწევს გაიძვერა სულის სიმტკიცე,
ვეცდები, ვიყო მე სიცრუის
,,დირექტორ ვიცე‘‘.

**ანათემა.**

# მუშათა წერილები

### ვირთხები გარბიან.

არის ძველი ბერძნული თქმულება: როდესაც ღმერთი ადამიანის დაღუპვას გადასწყვეტს, უწინარეს ყოვლისა გონებას წაართმევს; ასე მოუვიდა მემამულეების და იმპერიალისტების პოლონეთს; ვერ დაეტია თავის ტყავში და კიდევაც წამოეგო ანტანტის ანკესზე.

როდესაც საბჭოთა რუსეთმა მიწასთან გაასწორა კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩის ურდოები, მაშინ გადასწყვიტა საომრათ გაწვეული წითელნი არმიელნი შრომის არმიებათ გარდაექმნა და შესდგომოდა შინაური საქმეების მოწესრიგებას.

ამასთან ერთად, პარალელურად გამართა მოლაპარაკება მცირე ერებთან: ლიტვასთან, ესტონიასთან, ლატვიასთან, ფინეთთან ð პოლონეთთან სამშვიდობო ურთი-ერთობის განსამტკიცებლათ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ასეთი ცდა და ნაბიჯები პანების პოლონეთმა მას სისუსტეთ, სიუძლურეთ ჩაუთვალა და ანტანტის, ამ პროვოკატორის წათამამებით საბჭოთა რუსეთზე სწრაფი იერიშით წავიდა. მაგრამ სასტიკად შესცდა. რამდენათ სწრაფი იყო პირველ დღეებში იმპერიალისტური პოლონეთის ურდოების წინ სვლა, მუშათა და გლეხთა რუსეთზე, იმდენათ და კიდევ უფრო სწრაფი შეიქნა მათი თავდაუკავებელი უკან დახევა.

და გასაოცარი არაფერია. რადგანაც აქ შეეჯახა ერთი-მეორეს ორი ძალა: ძალა, რომელიც იცავს აშკარა სიმართლეს, უმწიკვლო ჭეშმარიტების, და ძალა, რომელიც იცავს უსამართლობას ლატიტველა სიყალბეს. ცხადია გაიმარჯვებდა ძალა აღჭურვილი პროლეტარული სიმართლით.

დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ პანების პოლონეთის სატახტო ქალაქი,—ვარშავა წითელ არმიელთა ხელ-

ში გადავა და იქ აფრიალდება წითელი უძლეველი დროშა პროლეტარიატისა.

და აი, როცა გემი იღუპება, ყველაზე ადრე გემიდან გარბიან დასუქებული ვირთხები. ასეთი სურათია ამ ჟამად პანების პოლონეთშიც. გაზეთების ცნობით იქედან გარბიან ყველანი: მემამულეები, სპეკულიანტები, სამღვდელოება, ყველა ისინი, რომელთაც დანაშაულობა მიუძღვით პოლონეთის მშრომელი ხალხის წინაშე.

იმავე გაზეთების ცნობით ვარშავაში აუწერელი პანიკა ყოფილა,—სადგურებზე ერთი-მეორეს თავ-პირს ამტრევენ მატარებელში ადგილის შოვნისათვის. ანტანტის საელჩოები მთელი თავისი შემადგენლობით გაქცეულია.

მოკლეთ, გარბიან ყველა ისენი, რომელნიც პოლონეთის მშრომელი ხალხის ნაოფლარით სუქდებოდა და მის ზურგზე ოთყრმას გადადიოდა, ყველა ისენი, რომელთაც ეს ომი წამოიწყეს.

დიახ, იღუპება შლიახტების და პანების პოლონეთის გემი, ამ განწირული გემიდან გარბიან ვირთხები.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების დამოუკიდებელ საბჭოთა პოლონეთს.

**მუშა კოწია.**

# პარტიული ცხოვრება.

**თბილისის მესამე რაიონის პირველი იაჩეიკის სხდომა**

4 აგვისტოს შესდგა მე-3 რაიონის პირველი იაჩეიკის წევრთა საერთო კრება. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) რუსეთში მიმავალ ამხანაგების შესახებ, 2) ახალი წარმომადგენლის არჩევა რაიონულ საბჭოში და 3) ორგანიზაციული ხასიათის კითხვები. რუსეთში ან საქართველოს საზღვრებიდან წამსვლელ ამხანაგების შესახებ კრებამ დაადგინა: მიეცეს წინადადება თბილისის კომიტეტს იაჩეიკის დაუკითხავათ არ მისცეს რომელიმე ამხანაგს წასასვლელი მანდატი.

მეორე—არჩეულ იქმნა რაიონულ საბჭოში გასაგზავნათ ახალი წარმომადგენელი. მესამე—კრებაზე რამოდენიმეჯერ დაუსწრებლობისათვის, თუ კი ამის შესახებ საპატიო მიზეზები არ ექნება ამხანაგს, გამორიცხულ იქნას იაჩეიკის წევრთა სიიდან.

—

**მე-2 რაიონის მე-3 იაჩეიკ. სხდომა**

4 აგვისტოს მოხდა მე-2 რაიონის მე-3 იაჩეიკის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენლის მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ და მოიწონა ბიუროს და თბილისის კომიტეტის მუშაობა ორგანიზაციულ და სხვა პარტიულ საკითხებში. კრება თავის გულისწყრომას გამოსთქვამს იმ რეპრესიების გამო, რომელიც სწარმოებს ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენი ამხანაგები ერთი წუთითაც არ გადასცილებიან ლეგალურ მუშაობის ფარგლებს. წითელი ჯვრის შესახებ კრებამ დაადგინა—ყოველი ღონე იხმაროს, რომ გაუმჯობესებულ იქნას წითელი ჯვრის მდგომარეობა. პარტიულ დისციპლინის შესახებ კრებამ დაადგინა: ყველა ამხანაგმა აასრულოს პარტიული დადგენილებები.

—

**მე-2 რაიონის მე-18 იაჩეიკ. სხდომა**

5 აგვისტოს მოხდა მე-2 რაიონის მე-18 იაჩეიკის წევრთა კრება. კრებამ დაადგინა ყოველივე დახმარება გაუწიოს პარტიულ წითელ ჯვარს საწევრო გადასახადების შეტანით. კრება სთხოვს თბილისის კომიტეტს, ახლო მომავალში მოაწყოს პარტიული შკოლა და კლუბი.

—

**წითელ ჯვრის ბიუროს სხდომა**

6 აგვისტოს შესდგა წითელი ჯვრის ბიუროს სხდომა. გადაწყდა დახმარება გაეწიოს დატუსაღებულ ამხანაგებს, მადლობა გადაეხადოს იმ მოსამსახურე ამხანაგებს, რომლებმაც პარტიულ წითელი ჯვრის სასარგებლოდ შემოსწირეს 15 ათასი მანეთი.

—

6 აგვისტოს მოხდა პროლეტ-კულტის (პროლეტარულ კულტურის) ცენტრალური საბჭოს სხდომა. სხდომამ განიხილა და მიიღო პარტიულ შკოლის პროგრამა. შკოლაში მეცადინეობა იქნება ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფში იმეცადინებენ ქართველი ამხანაგები, მეორეში რუსები. თითო ჯგუფში იმეცადინებს 20 ამხანაგი. კრებამ გადასწყვიტა ეთხოვოს თბილისის კომიტეტს პარტიულ შკოლისათვის მოაწყოს ორი ოთახი. აგრეთვე დანიშნოს შკოლის ზედამხედველი, რომელსაც დაევალება ბიბლიოთეკის გამგეობა და პროლეტ-კულტის მდივნის თანამდებობის ასრულება. სკოლის ხარჯებითვის ნაანგარიშევია 71 ათასი მანეთი. შკოლაში მეცადინეობა დაიწყება 16 აგვისტოდან. კრებამ დაადგინა, იაჩეიკებში სამეცადინოთ დაარსდეს პროპაგანდისტების კოლეგია.

**თბილისის მე-4 რაიონის მე-7 იაჩეიკის სხდომა.**

შესდგა მე-4 რაიონის მე-7 იაჩეიკის სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს საქ. კომ. პარტიის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე ქალაქის კონფერენციის მოწვევის შესახებ. შემოვიდა განცხადებები „სპარტაკლების" ორგანიზაციიდან და რკინის გზელ ამხანაგ. მუშების დათხოვის შესახებ. გადაწყდა მთელი ძალებით დახმარება გაეწიოს კულტურულ-განმანათლებელ კომისიას მუშაობაში.

### საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

**„ახ. კომ."**, როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწევება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

# მუშათა ცხოვრება.

ჩვენში.

**ქუთაისის მკერავთა პროფესიონალური კავშირი.**

მე, როგორც მკერავთა პროფესიონალურ კავშირის წევრს არ შემიძლია არ შევეხო ამ კავშირის ვითარებას და სწორი უტყუარი ცნობები არ მივაწოდო მკითხველებს. ჩვენი კავშირი დაარსდა 1917 წელს. კავშირში არიან დაახლოვებით 110 წევრი, და შესდგება სამი დარგისაგან: მკერავებისაგან, მექუდეებისაგან და პარიკმახერ-დალაქებისგან. წევრთა უმრავლესობას მკერავები შეადგენენ. 1918 წელში ზაფხულში კავშირი განსაცდელში ჩავარდა მით, რომ ძლიერ დაეცა მუშაობა მკერავებში. ზოგიერთ ამხანაგებმა, რომელთაც საშვალება ქონდათ, სოფლებს მიაშურეს. ზოგმა კი ვინ იცის რა საქმეს არ მოკიდა ხელი თავის გამოსაკვებავად. კავშირს არ ქონდა საშვალება, რომ უმუშევარი წევრები ორი-სამი თვე შეენახა და იმიტომ კავშირი ძალზე შეფერხდა: თითქმის ყველა გამგეობის წევრები გაფანტული იყვნენ. შემდეგ, როდესაც დაიწყო მუშაობის სეზონი ამხანაგებიც დაბრუნდენ თავთავიანთ ხაზეინებთან სამუშაოდ. მოვიწვიეთ საერთო კრება და ავირჩიეთ კავშირის გამგეობა. ეს გამგეობა მუშაობდა 1920 წლამდე. წელს იანვარში მოხდა გამგეოპის არჩევნები: დაუმატეთ ზოგი ამხანაგები და გამგეობაც შეუდგა მუშაობას. საინტერესოა მენშევიკების პოლიტიკა და მოქმედება ამ კავშირში. ეს ვაჟბატონები ბევრს ლაპარაკობენ მუშათა ინტერესების დაცვაზე და მუდამ იმას გაყვირიან რომ რუსეთში საბჭოთა მთავრობა დღედაღამე ამუშავებს მუშებსო და აქ კი ჩვენ სრულიად გავატარეთ რვა საათის სამუშაო დღეო. თუ ამას იტყვათ ჩვენ კავშირზე აქ რვა საათის სამუშაო დღე სრულიად არ არის გატარებული; როგორც უნდათ ისე ამუშავებენ ხაზეინები მუშებს. წასული თვეში ივნისში კავშირში დადგა საკითხი კავშირის კულტურულ მუშაობისთვის საჭირო თანხის გაძლიერების შესახებ. ამ საკითხზე გამგეობამ გამოსთქვა სურვილი, რათა მოგვეწყო ლექცია ან ქალ. თეატრში ან და კლუბ „ინტერნაციონალში" და ვთხოვდით ამხანაგ მიშა ოკუჯავას, რომ წაეკითხა ლექცია. მაგრამ სანამ ლექციას მოვაწყობდით, კავშირის თავმჯდომარემ, როგორც მენშევიკმა ვალდებულად ჩათვალა თავისი თავი ეცნობებია ეს ცენტრალურ კავშირისთვის და დაგვეცადა მანამდის, სანამ ნებართვა არ მოგვივიდოდა იქედან.

გავიდა ერთი კვირა და შემდეგ გამგეობის კრებაზე დავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხზე ლექციის მოწყობის წინააღმდეგი არავინ არ არისო, მაგრამ სხვა ლექტორმა უნდა წაიკითხოსო, რადგანაც დასახელებულ ლექტორის წინააღმდეგი არიანო. ამაზე ჩვენ გამგეობის წევრებმა მოვითხოვეთ ოფიციალურად განცხადების შეტანა ცენტრალურ კავშირში, რათა დანამდვილებით გვცოდნოდა მისი პასუხი. მაგრამ თავმჯდომარემ ამის წინააღძეგ წავიდა და ბევრი ყოყმანის შემდეგ გადადგა თავის მოვალეობიდან; მოიწვია ინსტრუქტორი და თვითონ წავიდა. კრება გაგრძელდა და ინსტრუქტორს გავაცანით ჩვენი საქმე. მან ლექციის შესახებ ასე გაგვიცხადა: რად გინდათ ამხანაგებო ლექცია, ლექციებს ჩვენ ხშირად მოვაწყობთ აწი, ამაზე უმჯობესია საღამო მოაწყოთო; ჩვენ ვარი ვუპასუხეთ საღამოს გამართვაზე და დაჟინებით მოვითხოვეთ ლექციის მოწყობა, მაგრამ ის სასტიკ ვარზე იდგა და საბუთად ის მოიყვანა, რომ ხალხი არ დაგესწრებათო. რა გვექნა, არ მოხერხდა. ვარჩიეთ სულ არარაობას საღამო და ავირჩიეთ საღამოს მომწყობი კომისია. მაგრამ ვერც საღამო მოაწყვეს, და აი როგორც დაინახე მკითხველო ასე მშვენიერად დათავდა კავშირში კულტურულ მუშაობის გაძლიერება.

**ლოდი.**

(შემდეგი იქნება)

—

### საზღვარ-გარედ

**ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირების კონგრესი.**

ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირების საყოველთაო კონგრესმა დაადგინა უმრავლესობით 31 ხმის წინააღმდეგ იხელმძღვანელოს უკანასკნელი პარტიული ყრილობის დირექტივებით, რომელმაც მუშათა მოძრაობის საბოლაო მიზნათ აღიარა საბჭოთა წყობილების დამყარება. ოპოზიციაში იყვენ ნაწილი მემარჯვენე სოციალისტებისა, ნაწილი სინდიკალის-ანარქისტებისა. პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლად მე-3 ინტერნაციონალის ყრილობაზე არჩეულ იქნა ალფრედი მადზენი. ტრამელსის წინადადებით მოსკოვში გაგზავნილ იქნა შემდეგი დეპეშა:

„ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირების მეცხრე ყრილობა, რომელიც აერთიანებს 150.000 შეკავშირებულ მუშას უძღვნის მე-3 ინტერნაციონალის მეორე ყრილობას გულითად და ძმურ სალამს. მუშათა კლასის ნორვეგიის ორგანიზაცია აღფრთოვანებით შესცქერის რევოლიუციონურ გმირობას, რომელსაც იჩენდენ და ყოველ დღე იჩენენ ჩვენი რუსი ძმები რევოლიუციონურ სოციალიზმის იდეალისთვის ბრძოლაში, მიუხედავათ საერთაშორისო კაპიტალის და მისი დამქაშების სასტიკი შეუპოვრობისა. ყრილობა კიცხავს მოკავშირეთა რეაქციონურ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, პოლიტიკას, რომელიც გრძელდება სპაშიაც, და გამოთქვამს თავის სრულ სოლიდარობას რუს ამხანაგებისადმი. ყრილობა გამოთქვამს რწმენას, რომ მე-3 ინტერნაციონალის მე-2 ყრილობა ყოველი ღონეს იღონებს მთელი მსოფლიოს მუშების გასაერთიანებლათ რევოლიუციონურ სოციალიზმის პლატფორმაზე. გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ რევოლიუციას და მუშების საერთაშორისო სოლიდარობას! გაუმარჯოს მოქმედების ინტერნაციონალს!"

ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირების ამავე კონგრესმა მიანდო სეკრეტარიატს მოიწვიოს ახლო მომავალში საფაბრიკო საბჭოების კონფერენცია ცენტრალურ საბჭოს მოსაწყობათ.

# პროვინციის ცხოვრება

**ჩოხატაურის თემი.**

ჩოხატაურის თემი ზემო გურიაში ყველაზე დიდი თემია. ამ თემშივე შედის თვით დაბა ჩოხატაურიც, რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს ოზურგეთის შემდეგ; ეს ითვლება აღმოსავლეთ გურიის ცენტრათ. აქ არსებობს სავაჟო გიმნაზია, პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, საავათმყოფო და სხვა დაწესებულებები. ერთი სიტყვით ეს არის კულტურული და ეკონომიური ცენტრი მთელი აღმოსავლეთ გურიისა... მაგრამ საუბედუროთ ასეთ მნიშვნელოვან პუნქტს პატრონი არ ყავს. მოგეხსენებათ რომ თემის პატრონი არის საბჭო და შემდეგ თემის გამგეობა. საუბედუროთ აქაური თემის გამგეოპის თავმჯდომარე ბ. ერმალო შერძენიშვილი სრულებით არ შეეფერება თავის ადგილს; არც ცოდნა შესწევს და არც უნარი მას მოუაროს. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, მან კიდევ დიდი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა. ივნისის პირველ რიცხვებში მან შეკრიბა საწყალი ხალხისაგან 300,000-მდე მანეთი, იმ პირობით, რომ ის შეიძენდა სიმინდს და მიაწვდიდა დამშეულ ხალხს. წავიდა ეს ვაჟბატონი და მას შემდეგ არ სჩანს მისი ლანდიც. თემიც მიატოვა, ხალხიც მოატყუილა. როგორც ცნობა დადის ის თავის საჭირო საქმეს შესდგომია გაგრაში და არავინ ამაზე კრინტს არ სძრავს. მე ვფიქრობ ესეც მენშევიკების ტაქტიკაა, ითმენენ დემოკრატიის ინტერესებიზა.

სანიტარული მდგომარეობა მაზრის აუტანელია, რაც ურარგისი სანოვაგეა აქ მოაქვთ გასასაღებლათ; დამპალი თევზით მთელი დაბა ამყრალებულია—ქუჩები სიბინძურით არის ავსებული, სამიკიტნოებ-სარდაფებში არ შეისვლება, ბაზრის ახლო-მახლო ადგილები აუარებელი ლეშით არის სავსე. სად არის ნეტავ სანიტარია?

დაბის განათება ხომ ცოდვა არის; აქაური ვაჭრები მხოლოთ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გააძრონ ხალხს ტყავი—თორემ განათება და სინათლე მათთვის ხომ ზედმეტი ბარგია.

აქ დიდი ხანია აგებულია სახალხო სახლი. შიგ მოთავსებული იყო სამკითხველო, თეატრი და სხვა კულტურ. დაწესებულება. აქ შავ-ბნელი რეაქციის დროს თავს იყრიდნენ რევოლიუციონერები და ვითომ ლეგალური საშვალებით რევოლიუციის საქმეს აკეთებდნენ.

ერთი სიტყვით, მოკლეთ რომ ვსთქვათ, ეს შენობა სიმბოლოა რევოლიუციის.

მაგრამ დღეს იგი მიყრუებულია და უპატრონოთ არის დატოვებული. კოოპერატიულ სასადილოს, რომელიც დღეს მიკეტილია, გამგეთ წინათ ყოფილა ბალშევიკი; ის დაუთხოვიათ და თავიანთი კანონიერი შვილისთვის ჩაუბარებიათ, რომლესაც, თუ რისიმე შეჭმა შეიძლებოდა უკვე შეუჭამია და სასადილოც მიხურულია. გზებს ვინღა აქცევს ყურადღებას, ერთად ერთი მთავარი გზატკეცილი, რომელიც უმთავრესი ძარღვია ზემო გურიის... (აქედგან გადააქვთ-გადმოაქვთ საქონელი, და სხვა ნამუშევარი ვინაიდგან აღმოსავლეთ გურიის გლეხობა საყანეთ საჯაოხო მხარეზე მიდიან და აგრეთვე მგზავრებს მიმოსვლა შეუწყვეტლივაა) ამ რამდენიმე წლის წინათ ნიაღვარმა საყორნიაში რამდენიმე ვერსი დაანგრია, მას შემდეგ ხალხი წვალობს და არ დაადგა საშველი ვინმეს ეზრუნა ასეთ მნიშვნელოვან და ხალხის აუცილებელ საჭირო გზაზე.

ზედმეტი არ იქნება შევეხოთ თემის მილიციის უფროსის მოქმედებას. ამ დღეებში ვიღაც ბოროტ გამზრახველებს გაუქურდავთ სიხარულიძის სახლი. ეჭვით სხვებთან ერთათ ორი მოწაფეც დაუჭკავებიათ ბატონ მილიცის უფროს, რომ გამოეტეხათ დანაშაულობაში ერთისთვის უცემია (უფრო პატარისთვის) და მეორე კი თოკით ჩამოუკიდია. საწყალი ატირებული მამა გამწარებული დარბოდა ბაზარში და არ იცოდა ვისთვის მიემართა, რომ პასუხი მოეთხოვა უპასუხისმგებლო პირისთვის.

როდესაც გურიაში ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი, სხვა მივარდნილ კუთხეებში ვინ იცის რა იქნება. როდესაც ვუკვირდები ასეთ მოვლენებს, „ერთობა" „ბარბაში" კი ვკითხულობ სხვა და სხვა ყალბ ცნობებს საბჭოთა რუსეთის შესახებ, ნებას ვაძლევ ჩემ თავს შევეკითხო მენშევიკებს: ბატონებო უმჯობესი არ არის შინაური ცხოვრება მოაგვაროთ და სხვის ჭკუის სწავლებას თავი დაანებოთ?

**სტუმარი**

—

**ზემო გურია.**

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა მთელი კაცობრიობა ცეცხლის ალში გაახვია, საუკუნეებით შექმნილი კულტურა ნაცარმტვრათ აქცია და მთელი ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა. ამ ომის გავლენა არც სოფელს მოჰკლებია. ვინც დღეს სოფლათ ცოტა ხნით გაივლის და დააკვირდება სოფლის ცხოვრებას, მისთვის აშკარა ხდება, თუ რა საშინელ მდგომარეობაში არიან სოფლის მცხოვრებნი. სახლში დარჩენილა მხოლოდ მოხუცნი და შავით შემოსილი დედაკაცები, რომლებიც ეწევიან აუტანელ შრომას. ამას დაუმატეთ სასურსათო კრიზისი, უაღრესათ განვითარებული სპეკულიაცია და მკითხველებისათვის აშკარა იქნება თუ რა მდგომარეობაშია დღეს სოფელი, ადმინისტრაციის თვითნებობას ხომ საზღვარი არ აქვს, თავი დავანებოთ ბალშევიკებზე ნავარდს, ეს ხომ ნებადართულია. ამაზე ვინ რას იტყვის, მაგრამ საუბედუროთ, არც სხვა მოქალაქეებია დაზღვეული. ამის დასამტკიცებელ ფაქტებს მოვიყვანთ ქვეით.

უმთავრესი საკითხი დღეს სურსათის საკითხია. სურსათის საქმე მეტათ მწვავედ დგას აღმოსავლეთ-გურიაში. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შიმშილობაა თავის სიგრძე-სიგანით, შველა კი არსაიდან არ ჩანს. ბაზარზე სიმინდი გასაყიდი არ იშოვება და კიდეც რომ იყოს, ვის შეუძლია იმის ყიდვა. ადგილობრივმა თემებმა დროზე არ გაუწიეს ანგარიში მოსალოდნელ შიმშილობას და თავის დროზე არ შეეცადენ სიმინდის იაფ ფასებში შეძენას (და ეს კი შესაძლებელი იყო), რომ დღეს მიეწოდებიათ იაფ ფასებში დამშეულ ხალხისათვის. და როდესაც ძლიერ გამწვავდა საქმე, მაშინ გამოიფხიკეს ყური, მაგრამ გვიანღა იყო; შემდეგ რაღაც რეკვიზიციაც კი დაიწყეს სიმინდის, მაგრამ რაღა დროს, როდესაც სიმინდი გაზიდულ იქმნა სხვა და სხვა ქალაქებში სასპეკულიაციოთ. რაღაც დაგროვილი თუ მთავრობისაგან გამოგზავნილი უმნიშვნელო რიცხვი სიმინდისა, თემის გამგეობებმა გაიყვეს ერთიმეორეში, და ხალხს რაღაც ნარჩენი შესთავაზეს; მაგალითად ხიდისთავის თემის თავმჯდომარემ უმეტესი ნაწილი თავისთვის დაიტოვა. ასევე მოიქცა ნანეიშვილის თემის გამგეობაც. ერთი-მეორეს შესთავაზეს სიმინდი და ხალხი პირღია დასტოვეს.

ვინ აგებინებს მათ პასუხს?

**ეფ.**

დრ. რედაქტორი:
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.